

ერთობლივი განცხადება

ღია მმართველობის
კარტნიორობა (OGP)
რუსული კანონის
განვევისკან მოუწოდებს



ღია მმართველობის პარტნიორობა (OGP) საქართველოს რუსული კანონის განვევისკენ მოუწოდებს

ღია მმართველობის პარტნიორობა (OGP) [მოუწოდებს](#) საქართველოს მთავრობას გაიწვიოს [D](#) გავლენის გამჭვირვალობის შესახებ კანონპროექტი, წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაძლოა, ქვეყანას OGP-ის წევრობა შეუნყდეს. OGP-ის [შეფასებით](#), პარლამენტში ინიცირებული კანონი დისკრიმინაციულია, ახდენს სტიგმატიზაციას და ზღუდავს სამოქალაქო საზოგადოების, მედიის და მონყვლადი ჯგუფების გამომხატვისა და გაერთიანების თავისუფლებას.

ბოლო წლებში საქართველოს მთავრობამ არაერთხელ ღიად დაადასტურა OGP-ის ფუნდამენტურ ღირებულებებთან შეუსაბამობა არა მხოლოდ [D](#) კანონის მხარდაჭერით, არამედ სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობის შელახვით, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებზე, უფლებადამცველებსა და კრიტიკული მედიის წარმომადგენლებზე ღია თავდასხმითა და მათი საქმიანობის შეზღუდვის მცდელობებით, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის პრინციპის დარღვევითა თუ საჯარო ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის შეზღუდვით.

მთავრობის მიერ **OGP-ის ძირითადი ღირებულებებისა და პრინციპების უხეშად დარღვევის გამო**, ღია მმართველობის უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს წევრი არასამთავრობო ორგანიზაციების მიმართვის [საფუძველზე](#), OGP-ის **საერთაშორისო სამდივნომ** [D](#) მექანიზმი (**OGP Response Policy**) ამოქმედდა. აღნიშნული მექანიზმი მიზნად ისახავს OGP საერთაშორისო სამდივნოს, პარტნიორი დონორი თუ საერთაშორისო ორგანიზაციების გაზრდილ ჩართულობას შექმნილი კრიზისის მოგვარებაში.

OGP-იმ შეისწავლა სამოქალაქო საზოგადოების მიმართვა და [დაადგინა](#), რომ მთავრობის [ქმედებები შეუსაბამოა OGP-ის ღირებულებებსა და პრინციპებთან](#). მთავრობას 30 დღიანი ვადა აქვს წარადგინოს კონკრეტული გეგმა, თუ როგორ გადაჭრის [D](#) მექანიზმის ფარგლებში გამოვლენილ პრობლემებს, რომელთა შორისაა პარლამენტში ინიცირებული „რუსული კანონი.“

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION



ღია მმართველობის უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს წევრი სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები კიდევ ერთხელ მოვუწოდებთ მთავრობას გაიწვიოს **№111111** კანონი **№11** რომელიც შეუთავსებელია ევროკავშირის სამართლებრივი სისტემასთან, ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციასთან და ასევე OGP-ის ფუნდამენტურ ღირებულებებთან.

ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი (EPRC)

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI)

მწვანე ალტერნატივა

საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო (TI)

სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი (CSI)

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია (GYLA)

სოციალური სამართლიანობის ცენტრი (SJC)

პარტნიორობა საგზაო უსაფრთხოებისთვის